

სასათბურე მეურნეობების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა

განმახორციელებელი უწყება: სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი „ზრდა საქართველოში“

2020 წელი

სარჩევი

შესავალი	3
1. პროგრამის მიზანი	4
2. პროგრამის შედეგი.....	4
3. პროგრამის აღწერა.....	4
3.1. საგრანტო განაცხადების წარმოდგენა	5
3.2. საგრანტო განაცხადების შემოწმება და განხილვა.....	6
3.2.1.საკვალიფიკაციო მოთხოვნები	7
3.2.2. შეფასების კრიტერიუმები	7
3.3. გამარჯვებული საგრანტო განაცხადის გამოვლენა	10
3.4. პროგრამის განხორციელების ვადები	11
3.5. პროგრამის გავრცელების არეალი.....	12
3.6. პროგრამის ხანგრძლივობა	12
4. პროგრამის ბიუჯეტი	12
5. პროგრამის მონიტორინგი და შეფასება	13
5.1. პროგრამის მონიტორინგი	13
5.2. პროგრამის შეფასება	13

შესავალი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები - დევნილები (შემდგომში - დევნილი) და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახები (ეკომიგრანტი) მოსახლეობის ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ფენას წარმოადგენენ, რომლებიც სახელმწიფოსგან განსაკუთრებულ მიდგომასა და მხარდაჭერას საჭიროებენ. დევნილთა და ეკომიგრანტებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გრძელვადიან განსახლებას და განსახლების ადგილზე მათ ინტეგრაციას, სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების გზით. მნიშვნელოვანია, განხორციელდეს მათი უზრუნველყოფა საარსებო წყაროებით, რომელიც გულისხმობს „ადეკვატურ და მდგრად ხელმისაწვდომობას შემოსავლებზე და რესურსებზე საბაზისო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (მათ შორის ადეკვატური ხელმისაწვდომობა საკვებზე, სასმელ წყალზე, სამედიცინო მომსახურებაზე, განათლებაზე, საცხოვრებელზე და თემის ცხოვრებაში მონაწილეობასა და სოციალურ ინტეგრაციაზე).“¹ საარსებო წყაროები მაშინ არის მდგრადი, როდესაც ისინი მჭიდროდაა დაკავშირებული საცხოვრებელ ადგილთან.

განსახლებულ ადგილებზე, დევნილთა და ეკომიგრანტთა ინტეგრაციის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 ივნისის N1046 განკარგულებით დამტკიცებული “იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტი) ოჯახებისათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის“ (შემდეგში - სამოქმედო გეგმა) საფუძველზე, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) ახორციელებს „სასათბურე მეურნეობების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამას“ (შემდგომში - პროგრამა).

წინამდებარე პროგრამა ხორციელდება სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) კონტრაქტორი პროექტის „ზრდა საქართველოში“ (შემდგომში - „ზრდა“) ფინანსური რესურსების გაერთიანებით.

¹ საქართველოს მთავრობის 20104 წლის 13 თებერვლის N257 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტი) ოჯახებისათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგია“.

1. პროგრამის მიზანი

პროგრამის ზოგად მიზანს წარმოადგენს ერთი მხრივ, დევნილთა და ეკომიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა მათ საცხოვრებელ ადგილებზე და მეორე მხრივ, მათი მოტივირება და ჩართვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში.

პროგრამის კონკრეტული მიზნებია: სოფლად განსახლებული დევნილებისა და ეკომიგრანტების შემოსავლის ზრდა მათი სასოფლო სამეურნეო ინიციატივების მხარდაჭერის გზით; დევნილთა და ეკომიგრანტთა სახელმწიფოზე დამოკიდებულებიდან თვითკმარობაზე გადასვლის ხელშეწყობა.

2. პროგრამის შედეგი

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 15 სასათბურე მეურნეობის მოწყობა.

3. პროგრამის აღწერა

სააგენტოსა და „ზრდას“ ფინანსური რესურსების გაერთიანების შედეგად, სამიზნე რეგიონებში (**N1 დანართი**) მცხოვრები დევნილები და ის ეკომიგრანტი ოჯახის წევრები, რომლებზედაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანების შესაბამისად, გამოცემულია საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შესახებ ბრძანება (შემდგომში - განსახლებული ეკომიგრანტი) მიიღებენ მხარდაჭერას სასათბურე მეურნეობების მოწყობის გზით. სასათბურე მეურნეობა გულისხმობს ტუნელის ტიპის სასათბურე კონსტრუქციის, სასათბურე ფირის, სარწყავი სისტემის, ფართის შესაბამისი ვენტილაციის, წყლის რეზერვუარისა (საჭიროების შემთხვევაში) და ტუმბოს ერთობლიობას.

პროგრამის ფარგლებში, მოეწყობა 240 კვადრატული მეტრის ფართობის მქონე შემდეგი ზომის სათბურები: ა) 6მ X 40მ; ბ) 8მ X 30მ; გ) 10მ X 24მ.

სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად, სააგენტო უზრუნველყოფს სასათბურე კონსტრუქციის მოწყობასა და მონტაჟის შესყიდვას არაუმეტეს 7 000 ლარის ღირებულების ფარგლებში. ხოლო „ზრდა“ უზრუნველყოფს სასათბურე ფირისა და ვენტილაციის სისტემის მოწყობასა და მონტაჟის შესყიდვას, არაუმეტეს 7 000 ლარის ღირებულების ფარგლებში. სააგენტოსა და „ზრდას“ მიერ შესაძენი საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი გათვალისწინებულია პროგრამის **N2 დანართით**. ხოლო, სასათბურე მეურნეობის მოსაწყობად, სააგენტოსა და „ზრდა“ მიერ შესასყიდი მასალის ზუსტი მახასიათებლები მოცემულია პროგრამის **N3 დანართში**.

პროგრამაში მონაწილეობისათვის, აუცილებელია ბენეფიციარის თანამონაწილეობა, რომელიც გულისხმობს N2 დანართით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვას. ბენეფიციარის თანამონაწილეობა უნდა იყოს არანაკლებ 600 ლარის ღირებულების. წყლის რეზერვუარის საჭიროების დადგენის შემთხვევაში, განისაზღვრება მისი მოცულობა. მისი შეძენა უნდა უზრუნველყოს ბენეფიციარმა. ამასთანავე, შრომითი ან სხვა რაიმე სახის თანამონაწილეობა, რომელიც სასათბურე მეურნეობის მოწყობასა და საგრანტო განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობისათვის შეიძლება იყოს საჭირო, უნდა შესრულდეს ბენეფიციარის მიერ, თუმცა მისი განფასება არ განხორციელდება.

სააგენტო და „ზრდა“ მოახდენს სასათბურე მეურნეობის მოწყობას მას შემდეგ, რაც გამარჯვებული განმცხადებელი შეასრულებს თანამონაწილეობას - შეიძენს N2 დანართით გათვალისწინებულ ნივთებს და დადგენილ ვადაში წარუდგენს სააგენტოს შეძენის დამადასტურებელ დოკუმენტაციას (ზედნადები და ღირებულების გადახდის ქვითარი/ჩეკი). გამარჯვებული განმცხადებლის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გაუქმდება გადაწყვეტილება განმცხადებლის გამარჯვებულად გამოვლენის თაობაზე.

პროგრამის ფარგლებში, ყველა სხვა ტიპის ინვესტიციის დაფინანსება, გარდა სასათბურე მეურნეობების მოწყობისა, ითვლება მიუღებელ ინვესტიციად.

სათბურეში მოსაყვანი კულტურები შეზღუდული არ არის და განმცხადებელს, საკუთარი კომპეტენციიდან გამომდინარე, შეუძლია თვითონ გააკეთოს არჩევანი. მიუხედავად ამისა, განმცხადებლის მიერ შემოთავაზებული კულტურების სასათბურე მეურნეობის პირობებში მოყვანა უნდა იყოს რეალური და განხორციელდებოდეს, როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.

სააგენტო და „ზრდა“ უზრუნველყოფს სამიზნე ბენეფიციართა ინფორმირებას პროგრამის შესახებ. ინფორმირება განხორციელდება პირისპირ კომუნიკაციისა და მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის მეშვეობით.

3.1. საგრანტო განაცხადების წარმოდგენა

პროგრამის განხორციელების პროცესში, სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით, განისაზღვრება საგრანტო განაცხადების მიღების ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს სამ კვირაზე ნაკლები.

პროგრამაში მონაწილეობისათვის, დაინტერესებულმა დევნილმა და განსახლებულმა ეკომიგრანტმა უნდა შეავსოს პროგრამის ფარგლებში შემუშავებული საგრანტო განაცხადი (**დანართი N4**) და თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინოს „ზრდას“ ოფისებში, შემდეგ მისამართებზე:

1. ქ. გორი; სტალინის ქ. N 27/1;
2. ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N 48;

3. ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N3;
4. ქ. თბილისი, ნ.რამიშვილის ქუჩა, I ჩიხი N9;
5. ქ. ახალციხე, წმინდა დავით და კონსტანტინეს ქ. N21ა.

საგრანტო განაცხადს თან უნდა ერთოდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განმცხადებლის პირადობის ან პასპორტის ასლი;
2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან იმ მიწის ნაკვეთზე, რომელიც არის განმცხადებლის ან მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში და სადაც უნდა მოეწყოს სასათბურე მეურნეობა (გამარჯვებულ განმცხადებელს ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე, დაევალება განახლებული ამონაწერის წარმოდგენა).
3. საინფორმაციო ბარათი სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან ან სსიპ - იუსტიციის სახლიდან საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მიწის ნაკვეთი, რომელზეც უნდა განთავსდეს სასათბურე მეურნეობა წარმოადგენს არა განმცხადებლის, არამედ მისი ოჯახის წევრის საკუთრებას.

განმცხადებლისა და მიწის მესაკუთრე ოჯახის წევრის საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაცია გადამოწმდება სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დაფიქსირებული ჩანაწერით.

განაცხადების მიღების ვადის დასრულების შემდეგ, „ზრდა“ გადასცემს სააგენტოს მიღებულ განაცხადებს, რის შემდეგაც ხდება მათი რეგისტრაცია სააგენტოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში.

3.2. საგრანტო განაცხადების შემოწმება და განხილვა

წარმოდგენილ საგრანტო განაცხადს ამოწმებს სააგენტოს საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) და განიხილავს პროგრამის ფარგლებში შექმნილი საგრანტო კომისია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის წესის“ შესაბამისად.

დეპარტამენტი უზრუნველყოფს წარმოდგენილი საგრანტო განაცხადების შემოწმებას და ადგენს რამდენად შესაბამისია პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

დეპარტამენტი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, შემოწმების ეტაპზე, განმცხადებელს განუსაზღვროს ვადა არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ოდენობით და მოსთხოვოს მას საგრანტო განაცხადში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამოსწორება, სავალდებულოდ წარმოსადგენი ან დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა ან/და ინფორმაციის დაზუსტება. ამავდროულად, მოთხოვნილი დოკუმენტაცია პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული პროგრამის მიზნების განხორციელებასთან. განმცხადებელს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია, რა მიზნით ითხოვს დეპარტამენტი დოკუმენტაციის წარდგენას. აღნიშნულის თაობაზე, სააგენტოსა და განმცხადებელს შორის კომუნიკაცია შესაძლებელია

როგორც წერილობითი, ისე სატელეფონო და ელექტრონული შეტყობინებით. სატელეფონო შეტყობინების შემთხვევაში, საგრანტო განაცხადის გარეკანზე უნდა გაკეთდეს შესაბამისი მინიშნება შეტყობინების თარიღის მითითებით.

დეპარტამენტი არ გადასცემს საგრანტო კომისიას განაცხადს განსახილველად და იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ, თუ ის არ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ან განმცხადებელმა განსაზღვრულ ვადაში არ აღმოფხვრა ტექნიკური ხარვეზი ან/და არ დააზუსტა ან/და არ წარმოადგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია; განმცხადებელმა ნებაყოფლობით უარი განაცხადა საგრანტო კონკურსში მონაწილეობაზე; არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რის გამოც განაცხადის განხილვას შედეგი არ ექნება.

3.2.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელსაც ამოწმებს დეპარტამენტი:

1. საგრანტო განაცხადი წარმოდგენილია დადგენილ ვადაში, ხელმოწერილია, შევსებულია სრულყოფილად (შევსებულია ყველა ველი და გასაგებადაა მოწოდებული სასათბურე მეურნეობის წარმოების შეფასებისთვის საჭირო ინფორმაცია) და თანდართულია წარმოსადგენი დოკუმენტაცია;
2. სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით, განმცხადებელი არის დევნილის აქტიური სტატუსის მქონე ან განსახლებული ეკომიგრანტი ოჯახის წევრი;
3. განმცხადებელი ცხოვრობს პროგრამის სამიზნე რეგიონში - N1 დანართით გათვალისწინებულ ერთ-ერთ ქალაქში/სოფელში;
4. განმცხადებელს ან ოჯახის² წევრს საკუთრებაში/თანასაკუთრებაში აქვს პროგრამის სამიზნე რეგიონში მდებარე მიწის ნაკვეთი, სადაც დაგეგმილია სასათბურე მეურნეობის მოწყობა. ამასთანავე, მიწის ნაკვეთი საკმარისი უნდა იყოს 240 კვ.მ. ფართობის მოსაწყობად.
5. საგრანტო განაცხადი ითვალისწინებს სასათბურე სამეურნეო საქმიანობას.

3.2.2. შეფასების კრიტერიუმები

შემოწმების ეტაპის წარმატებით გავლის შემდეგ, დეპარტამენტი წარმოდგენილ საგრანტო განაცხადებს გადასცემს საგრანტო კომისიას, რომელიც განიხილავს და აფასებს შეფასების კრიტერიუმებით და ავლენს გამარჯვებულებს. თითოეულ კრიტერიუმს მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა. ქულათა დადგენა ხორციელდება კომისიის თითოეული წევრის მიერ შეფასების ფორმაში მითითებული ქულებიდან საშუალო არითმეტიკული ქულის გამოყვანის გზით. ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა

² პროგრამის მიზნებისათვის, ოჯახი არის პირთა ერთობლიობა, რომლებიც ერთ საცხოვრებელ მისამართზე არიან რეგისტრირებულნი, რაც დადასტურებულია სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და/ან სსიპ - იუსტიციის სახლის მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათით და/ან სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში არსებული ჩანაწერით.

100. თუმცა, გამარჯვებულად ვერ ჩაითვლება განაცხადი, თუკი კომისიის ყველა წევრის მიერ შეფასებული ქულების ჯამის საშუალო ქულა 70-ზე ნაკლებია.

საგრანტო განაცხადი ფასდება განაცხადში მითითებული ინფორმაციისა და მონიტორინგის ანგარიშის (დანართი N5) გათვალისწინებით.

შეფასების კრიტერიუმები

N	შეფასების კრიტერიუმი	შეფასების აღწერა	შეფასების ზღვარი (ქულა)
1	შემოთავაზებული საქმიანობისათვის მიწის ნაკვეთის გამოსადეგობა	ფასდება სარწყავი წყლის, ელ.ენერჯის და საგზაო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა	0-10
2	განმცხადებლის გამოცდილება სასათბურე მეურნეობის წარმართვის, შემოთავაზებული კულტურის მოყვანის და სხვა.	ფასდება სასათბურე სამეურნეო საქმიანობის წარმართვისათვის საჭირო უნარები და ცოდნა. უპირატესობა მიენიჭებათ მსგავსი პროექტის განხორციელების გამოცდილების და/ან პოტენციალის მქონე კანდიდატებს.	0-30
3	ნათლად ჩამოყალიბებული საგრანტო განაცხადი და საქმიანობის იდეა	ფასდება სასათბურე სამეურნეო საქმიანობის განხორციელების შედეგები რამდენად ნათელი და რეალისტურია.	0-20
4	ხარჯთეფექტურობა	ფასდება განმცხადებლის შესაძლებლობები, მისი მხრიდან ფინანსურ და არაფულად თანამონაწილეობაზე.	0-20
5	საქმიანობის მდგრადობის შეფასება. სამიზნე ბაზარი და პროდუქციის რეალიზებასთან დაკავშირებული გათვლები.	ფასდება, აქვს თუ არა სასათბურე სამეურნეო საქმიანობას გაგრძელების პოტენციალი დაფინანსების დასრულების შემდეგ.	0-20
	საბოლოო შეფასება (100 ქულიდან)		100

ქულების მინიჭების მაგალითი კრიტერიუმების მიხედვით:

შემოთავაზებული საქმიანობისათვის მიწის ნაკვეთის გამოსადეგობა

- 0 - შემოთავაზებული მიწა გამოუსადეგარია სასათბურე მეურნეობისათვის;
- 1-5 - მიწაზე ხელმისაწვდომია ზოგიერთი სახის ინფრასტრუქტურა;
- 6-10 - მიწაზე ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურა გამოსადეგია დაგეგმილი საქმიანობისათვის.

განმცხადებლის გამოცდილება სასათბურე მეურნეობის წარმართვის, შემოთავაზებული კულტურის მოყვანის და სხვა.

- 0 - განმცხადებელს არ აქვს გამოცდილება, ცოდნა ან უნარები, რომ განახორციელოს დაგეგმილი საქმიანობა
- 1 - 5 განმცხადებელს აქვს ზოგიერთი უნარი, მაგრამ არ აქვს გამოცდილება;
- 6 - 10 განმცხადებელს აქვს გარკვეული ცოდნა, უნარები და გამოცდილება;
- 11 - 15 განმცხადებელს აქვს ცოდნა, უნარები და გარკვეული გამოცდილება;
- 16 - 20 განმცხადებელს აქვს საკმარისი ცოდნა, უნარები და გამოცდილება;
- 21 – 25 განმცხადებელს აქვს კარგი უნარი, ცოდნა და მრავალწლიანი გამოცდილება;
- 26 – 30 განმცხადებელს აქვს სრულყოფილი ცოდნა და უნარი მრავალწლიან გამოცდილებასთან ერთად.

ნათლად ჩამოყალიბებული საგრანტო განაცხადი და საქმიანობის იდეა

- 0 - სასათბურე სამეურნეო საქმიანობის განხორციელება ბუნდოვანი და არარეალურია;
- 1- 5 - სასათბურე სამეურნეო საქმიანობა ნორმალურად არის ჩამოყალიბებული, თუმცა რეალური არ არის;
- 6-10 - სასათბურე სამეურნეო საქმიანობის განხორციელება მეტნაკლებად ნათელი და რეალურია;
- 11-15 - სასათბურე სამეურნეო საქმიანობის განხორციელება კარგად არის ჩამოყალიბებული და მეტნაკლებად რეალურია;
- 16 – 20 - სასათბურე სამეურნეო საქმიანობის განხორციელება სრულყოფილად აქვს განმცხადებელს გააზრებული და რეალურია.

ხარჯთეფექტურობა

- 0 - განმცხადებელი არ არის მზად ფინანსური და საჭიროების შემთხვევაში შრომითი თანამონაწილეობისათვის;
- 1 – 5 - განმცხადებელი მზად არის შრომითი თანამონაწილეობისათვის, თუმცა ფინანსური თანამონაწილეობა საეჭვოა;
- 6-10 - განმცხადებელს სრულყოფილად არ აქვს გააზრებული მიერ გასაწევი შრომითი და ფინანსური თანამონაწილეობის საკითხი, რაც ჩანს განაცხადის ფორმაში მის მიერ მითითებული ინფორმაციიდან;
- 11- 15 - განმცხადებელს გააზრებული აქვს მის მიერ გასაწევი შრომითი და ფინანსური თანამონაწილეობის საკითხი, თუმცა მისი მზადყოფნა საეჭვოა;
- 16-20 - განმცხადებელს გააზრებული აქვს მის მიერ გასაწევი შრომითი და ფინანსური თანამონაწილეობის საკითხი და მისი მზადყოფნა არ არის საეჭვო.

საქმიანობის მდგრადობის შეფასება. სამიზნე ბაზარი და პროდუქციის რეალიზებასთან დაკავშირებული გათვლები.

- 0 - საქმიანობა არ იქნება მდგრადი, რაც აშკარაა ფინანსური გათვლებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად;
- 1-5 - განმცხადებელს შეესაბამება აქვს ფინანსური გაანგარიშების ნაწილი, თუმცა გათვლები ნაკლებად რეალურია და/ან განმცხადებელი არ აპირებს მიღებული მოსავლის რეალიზაციას;
- 6 -10 - განმცხადებლის მიერ გაკეთებული ფინანსური გათვლები მეტწილად რეალურია და განაცხადიდან ირკვევა, რომ რეალიზაციის საკითხზეც აქვს განმცხადებელს ნაფიქრი, თუმცა შემოსავლის გაუმჯობესების ალბათობა დაბალია;
- 11 – 15 - განმცხადებლის მიერ გაკეთებული ფინანსური გათვლები ძირითადად რეალურია და განმცხადებელს წარმოდგენა აქვს ზოგიერთ სარეალიზაციო პუნქტზე, რაც წარმოდგენას ქმნის, რომ საქმიანობა ალბათობის საშუალო ხარისხით იქნება წარმატებული დაფინანსების დასრულების შემდეგაც;
- 16-20 - განმცხადებლის მიერ გაკეთებული ფინანსური გათვლები რეალურია და განმცხადებელს წარმოდგენა აქვს სარეალიზაციო პუნქტებზე, რაც წარმოდგენას ქმნის, რომ საქმიანობა ალბათობის მაღალი ხარისხით იქნება წარმატებული დაფინანსების დასრულების შემდეგაც.

3.3. გამარჯვებული საგრანტო განაცხადის გამოვლენა

პროგრამის ფარგლებში, გამარჯვებულად გამოვლინდება ყველაზე მაღალი ქულის მქონე საგრანტო განაცხადები, პროგრამისათვის განკუთვნილი ფინანსური რესურსის ფარგლებში.

განმცხადებელთა მიერ წარმოდგენილი საგრანტო განაცხადების განფასების დაზუსტების მიზნით, სააგენტო უზრუნველყოფს წინასწარი ბაზრის კვლევის ჩატარებას. ბაზრის კვლევის საფუძველზე, გამოვლენილი ფასებისა და არსებული ფინანსური რესურსის შედარების შედეგად გამოვლინდება, რამდენი განმცხადებლის დაფინანსებაა შესაძლებელი არსებული ასიგნებების ფარგლებში.

კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სააგენტოს დირექტორი გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

საგრანტო კონკურსში გამარჯვებულად გამოვლენილთა სია ქვეყნდება ვებგვერდზე (www.moh.gov.ge), რომელიც ავტომატურად მიიჩნევა გამარჯვებულთათვის გამარჯვების შესახებ შეტყობინებად.

განმცხადებლების გამარჯვებულებად გამოვლენის შემდეგ, თითოეული გამარჯვებული ვალდებულია დეპარტამენტს წარუდგინოს განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან იმ მიწის ნაკვეთზე, სადაც დაგეგმილია სასათბურე მეურნეობის მოწყობა. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის ან იმ შემთხვევაში, თუ განახლებული ინფორმაციით, მიწის ნაკვეთი არ ფიქსირდება გამარჯვებულის ან მისი

ოჯახის წევრის საკუთრებაში, უქმდება გადაწყვეტილება განმცხადებლის გამარჯვებულად გამოვლენის შესახებ.

სააგენტოსა და გამარჯვებულებს შორის ფორმდება საგრანტო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, განმცხადებელს განესაზღვრება თანამონაწილეობის ვალდებულების შესრულების ვადა. აღნიშნულ ვადაში, თანამონაწილეობის ვალდებულების შესრულების შემდეგ, სააგენტო სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობს შესაბამისად, უზრუნველყოფს სასათბურე მეურნეობის მოსაწყობად, სათბურის კონსტრუქციისა და განსაზღვრულ მიწის ნაკვეთზე მისი მონტაჟის შესყიდვას. სასათბურე კონსტრუქციის მოწყობის შემდეგ, „ზრდა“ უზრუნველყოფის სასათბურე ფირისა და ვენტილაციის სისტემის მოწყობას.

ახალი გარემოების გამოვლენის შემთხვევაში, თუკი გამოვლენილ გამარჯვებულ განმცხადებელთან რაიმე მიზეზის გამო ვერ ფორმდება საგრანტო ხელშეკრულება ან გამოვლინდება გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი, სააგენტო უფლებამოსილია მომდევნო ყველაზე მაღალი ქულის განმცხადებელთან გააფორმოს საგრანტო ხელშეკრულება.

„ზრდა“ უზრუნველყოფს დაფინანსებულ ბენეფიციარებისთვის სასათბურე მეურნეობის მოწყობის თაობაზე კონსულტაციების გაწევას და მათთვის ტრენინგების შეთავაზებას.

გამარჯვებული ვალდებულია სასათბურე მეურნეობა გამოიყენოს პროგრამის შესაბამისად, ეწეოდეს სასათბურე მეურნეობას საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერიდან არანაკლებ 3 წლის განმავლობაში.

3.4. პროგრამის განხორციელების ვადები

პროგრამის ფარგლებში, საგრანტო განაცხადების მიღების, შემოწმების, განხილვისათვის და სასათბურე მეურნეობების მოწყობისათვის განსაზღვრულია კონკრეტული ვადები.

საქმიანობა	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი-დეკემბერი
საგრანტო განაცხადების მიღება	X	X			
საგრანტო განაცხადების შემოწმება		X			
დამატებითი ვადა დოკუმენტაციის წარმოსადგენად/ინფორმაციის დასაზუსტებლად		X	X		
საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა			X		

პირველადი სავლე მონიტორინგი	X	
საგრანტო განაცხადების წარდგენა საგრანტო კომისიისათვის და გამარჯვებული განმცხადებლების გამოვლენა		X
გამარჯვებულთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება		X
გამარჯვებულების მიერ თანამონაწილეობის ვალდებულების შესრულების ვადა		X
სააგენტოს მხრიდან სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები	X	X
სათბურის კონსტრუქციის მოწყობა		X
„ზრდას“ მიერ სასათბურე ფირისა და ვენტილაციის სისტემის მოწყობა		X

3.5. პროგრამის გავრცელების არეალი

პროგრამა ვრცელდება N1 დანართით გათვალისწინებულ სამიზნე რეგიონებში.

3.6. პროგრამის ხანგრძლივობა

სამოქმედო გეგმის თანახმად, პროგრამა ხორციელდება 2020-2021 წლებში. პროგრამის ხანგრძლივობა შეიძლება შეიცვალოს ზემოთხსენებული სამოქმედო გეგმის მიხედვით.

4. პროგრამის ბიუჯეტი

დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებისა და „ზრდას“ მიერ ამ პროგრამისათვის განკუთვნილი ბიუჯეტის ფარგლებში. 2020 წლისათვის პროგრამისათვის დადგენილი ბიუჯეტია 200 000 ლარი. საიდანაც 100 000 ლარი საბიუჯეტო სახსრებიდან არის გამოყოფილი, ხოლო 100 000 ლარი „ზრდას“ მიერ არის დაფინანსებული.

5. პროგრამის მონიტორინგი და შეფასება

5.1. პროგრამის მონიტორინგი

პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება როგორც პირველადი, ისე შემდგომი მონიტორინგი 2 წლის განმავლობაში. პირველადი მონიტორინგის მიზანია, დადგინდეს საგრანტო განაცხადით მოთხოვნილი ინვესტიციის საჭიროება, განხორციელებადობა და მდგრადობა. სააგენტო პირველად მონიტორინგს განხორციელებს მხოლოდ შერჩეულ განმცხადებლებთან. შემდგომი მონიტორინგი განხორციელდება მხოლოდ დაფინანსებულ ბენეფიციარებთან. მისი მიზანია, შემოწმდეს გრანტის ფარგლებში მოწყობილი სასათბურე მეურნეობების მიზნობრივად გამოყენების ფაქტი და შეფასდეს გაუმჯობესებული საარსებო მდგომარეობა.

5.2. პროგრამის შეფასება

პროგრამის შეფასება განხორციელდება 2021 წელს. პროგრამის შეფასების მიზნით, შემუშავდება სპეციალური კითხვარები, რომელთა მიხედვითაც, მოხდება პროგრამის ბენეფიციართა გამოკითხვა. აღნიშნული კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად, გამოვლინდება პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეები და საჭიროების შემთხვევაში შემუშავდება რეკომენდაციები პროგრამის უფრო ეფექტურად განხორციელებისთვის.